წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

კვირა, 26 ნოემბერი 1922 წ.

№ 152 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 152

# ბრძანება

საქართველოს დივიზიის პოლიტგანყოფილებისა.

№ 1

23 ნოემბერი 1922 წ. ქ. თბილისი.

შეუდექი რა დღეის რიცხვიდან ქართულ დივიზიის და მასთან მიმაგრებულ ნაწილების პოლიტხელმძღვანელის უფროსის და დივიზიის სამხედრო კომისრის მოვალეობის ასრულებას, განვმარტავ და ვბრძანებ შემდეგს: საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი და მტკიცეთ დამცველი შინაური თუ გარეშე კონტრრევოლიუციონური მტრებისაგან არის წითელი ჯარი, აღზრდილი ყოვლის უპირველესად სოციალისტურ იდეით და რევოლიუციონური სულით და მასთან შესაფერი სამხედრო ტეხნიკის ცოდნით, ჯარი რომელიც არაა შესაფერი იდეიით გამსჭვალული, მას არც სამხედრო ცოდნა არ უნდა ქონდეს ის სუსტია ყოველი მტრის წინააღმდეგ. ასეთ ჯარში ხშირია ყოველი უმნიშვნელო ხიფათის დროსაც კი სრული დემორალიზაცია, სისტემატიური დეზერტირობა და სხვა.

სოციალისტური ჯარი მით განსხვავდება იმპერიალისტურ ჯარებისაგან, რომ ის პირველი დარაჯია მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსი მის ინტერესების დაცვაში. თუ ბურჟუაზიული ჯარები გარეშე იდგნენ და სდგანან ყოველივე პოლიტიკისაგან და სახელმწიფო შენებისაგან, სამაგიეროდ ჩვენი ჯარები საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შენების და პოლიტიკის სრულ უფლებიანი მონაწილენი არიან. ეს იმიტომ, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატები შენდება მხოლოდ პროლეტარებისაგან და ნახევრად პროლეტარებისაგან და ჯარის კაცებიც იმავე წრიდან არიან და მათა სამსახურისათვის მოწოდებული.

ძველი ჯარი, თუ გინდა ავიღოთ თვითმპყრობელი რუსეთის, ყოველივე ხიფათის დროს იხ წნებოდა და იშლებოდა სამაგიეროთ ჩვენი ჯარები საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ყოველთვის გასაჭირის დროს უფრო კ ედებოდენ უძლეველნი ხდებოდნენ (მაგალითად მეფის გენერლების შემოსევა: დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის და სხვების). ეს იმიტომ, რომ საბჭოთა ჯარებს ასულდგმულებდა თავისი სახელმწიფოს დაცვა; იმ სახელმწიფოს, რომლის შენების მონაწილე თვითონ იყო, ამიტომ ის უძლეველი გახდა, მაშასადამე ჩვენი უპირველესი მიზანი უნდა იყვეს ჯარის აღზრდა პოლიტიკურათ. კულტურულათ, კომუნისტური იდეებით ჯარი მჭიდროთ უნდა იქნეს შეკავშირებული ფაბრიკა-ქარხნებთან, სოფლის მუშების დაკორძებულ ხელებთან, ყველა პროლეტარულ მუშურ პოლიტიკურ თუ პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. ზოგიერთ შემთხვევაში ჯარის პოლიტიკური ხელმძღვანელები ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვან საქმეს ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, ხშირად პოლიტიკური ხელმძღვანელები ჯარებისა, სრულიად განზე დგანან ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციებიდან და მათში პასიურ მონაწილეობასაც არ იღებენ და მით უმეტეს პროვინციებში მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, რის გამო წითელ არმიელები ზოგიერთ შემთხვევაში განიცდიან ობლობას.

დღეიდან დივიზიის პოლიტიკური სამმართველო აღნიშნავს რა გარდა ამისა სხვა მრავალ დეფექტებსაც ჯარის პოლიტიკურათ აღზრდის საქმეში, ვუბრძანებ ყველა პოლიტიკურ მომუშავეებს აწარმოონ დაუღალავი მუშაობა დივიზიის ყველა ნაწილებში, გააბან მჭიდრო კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან იმ რაიონში, სადაც ათასეული სდგას, ათასეულის სამხედრო კომისარი არც ერთხელ არ უნდა დააკლდეს რაიონის კომიტეტის სხდომას, თუ ის გადამწყვეტი ხმით ვერ სარგებლობს, ისარგებლოს უნდა სათათბირო ხმით.

მაზრაში, ქალაქში, თემში თუ სადაც არ უნდა იდგეს ჯარის ნაწილები, უფროსი პოლიტიკური ხელმძღვანელები უნდა იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას პარტიულ ორგანიზაციებში, ყოველგან უნდა ისმოდეს ჯარის წარმომადგენლების ხმა. ჯარის ავტორიტეტი წითელი ფარაჯის სახელით პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას უნდა იპყრობდეს. მაშინ თვით მუშათა ორგანიზაციები ახლოს იქნებიან ჯარის საჭიროებასთან ჯარის პოლიტიკურათ თუ კულტურულათ აღზრდის საქმეში და შესაფერ დახმარებას არასოდეს არ დაიშურებენ..

სისტემატიური მუშაობა ჯარში და მტკიცე ხელი ძირიანათ აღკვეთავს იმ დაუდევრობას, რომელსაც ადგილი აქვს დივიზიაში დეზერტირობა, უსაქმობა, უსიცოცხლობა, წერა-კითხვის უცოდინარობა და სხვ, სასწრაფოთ უნდა განიდევნოს დივიზიის ნაწილებისაგან დივიზიის პოლიტიკური სამმართველო არავითარი ზომების წინაშე არ შეჩერდება ამა თუ იმ კომისრის თუ პოლიტიკურ ხელმძღვანელის წინააღმდეგ თუ რომელიმე მთელ თავის ენერგიას და ცოდნას თავისი მოვალეობის პირნათლათ შესრულებას არ მოახმარს.

იმ ნაწილებში, რომელშიაც დეზერტირობას და ბოროტ მოქმედებას ექნება ადგილი ან და ჯარის კაცების კულტურულათ აღზრდის საქმეს ყურადღება არ ექნება მიქცეული სამხედრო კომისრები, მათი თანაშემწენი და პოლიტიკური ხელმძღვანელები აგებენ პასუხს, არამც თუ სამსახურიდან გადაყენებით არამედ მთელი რევოლიუციონური სამსჯავროს სიმკაცრით.

ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი და დივიზ. სამხედრო კომისარი.

თენგიზ ჟღენტი.

## ლოზანის კონფერენციის გამო.

ოსმალეთის მიერ სასტიკათ დამარცხებული საბერძნეთი და იმპერიალისტური ანტანტა, რომ აეშორებიათ თავიდან სრული გაკოტრება თავისი ინტერესებისა ახლო აღმოსავლეთში, იძულებულნი გახდნენ მუდანიაში საჩქაროთ ჩამოეგდოთ დროებითი ზავი.

ამით იმპერიალისტურმა ანტანტამ მოიგო რა დრო (მოიგო მეთქი ვამბოთ) მისთვის რომ, მათ არ ყავდათ საკმაო სამხედრო ძალები ახლო აღმოსავლეთში, რომელთაც შეეძლოთ შეეჩერებიათ ძლევამოსილი ანგორის ჯარების შეტევა, იწყო თავისი ძალღონის შეკრება და ამნაირად საკმაო სამხედრო ძალებს მოუყარა თავი საჭირო ადგილს, რომ შემდეგ დიპლომატების მოლაპარაკების დროს, ზურგი გამაგრებული ქონდა.

ახლო აღმოსავლეთის საკითხების საბოლოოთ გადასაჭრელათ. მრავალჯერ გადადების შემდეგ, მოწვეულ იქნა ლოზანის კონფერენცია, რომელზედაც ერთად წინ და წინვე შეთანხმებულნი გამოვიდნენ ანტანტის სახელმწიფოები და მათი დუდუკზე მოცეკვავე საბერძნეთი და სხვები.

ამნაირად ლოზანიის კონფერენციაზე სულ დიდი უმრავლესობა დელეგატებისა გამსჭვალულნი არიან ერთი რწმენით და პროგრამით, რომლებიც თავის თავად ცხადია ვერაფერ კარგს ვერ უქადის ოსმალეთის სასიცოცხლო ინტერესებს, და ეცდებიან მას თავზე მოახვიონ ისეთი ზავის პირობები, რომლებიც კვლავ მძიმე მონობის უღელში გააბამენ დღეს ბრწყინვალედ გამარჯვებულ ოსმალეთს.

ოსმალეთის დიპლომატების დამარცხება ლოზანის კონფერენციაზე მით უმეტეს შესაძლებელია რომ, ის ამ კონფერენციაზე მარტო რჩება, და მისი ინტერესების ერთად ერთი სამართლიანი დამცველი საბჭოთა მთავრობის დელეგატები სხვა და სხვა მიზეზებით ჯერ არ გამოჩენილან, რაიც უეჭველად დიდი სამწუხარო იქნება როგორც ოსმალეთისათვის, ისე ყველა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დარდანელის სრუტეების საკითხის სამართლიანად გადაჭრაში.

ამას დღეს თვით ოსმალეთიც არ მალავს და დარწმუნებულია მასში, რომ ის ლოზანის კონფერენციაზე ვერ მიიღებს ისეთ შედეგს, როგორსაც ელოდა, თავის ჯარებს კვლავ უყრის თავს სრუტეების გარშემო და ძალით სურს წაიღოს ის, რაც მას სამართლიანად ეკუთვნის და რასაც არ აძლევენ იმპერიალისტური ყაჩაღები.

ამ მოსაზრებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ამ უკანასკნელ დღეებში სტამბოლის გენერალ-გუბერნატორი რეფიტ-ფაშა, რომელმაც ვერ გამოიჩინა საკმაო სიმტკიცე და მთელ რიგ საკითხებში დაუთმო ანტანტის წარმომადგენლებს, გადაყენებულ იქნა თავის ადგილიდან და მის მაგიერ გაიგზავნა ახალი, უფრო მტკიცე დირექტივებით აღჭურვილი სელაგდინ-ბეი.

ასეა თუ ისე ლოზანიის კონფერენციიდან არ არის მოსალოდნელი ისეთი შედეგი, რომელიც შესძლებს დაკმაყოფილებას, როგორც ოსმალეთის, ისე საბჭოთა მთავრობებისას, ეს კი უეჭველად გამოიწვევს ერთგვარ კონფლიქტებს ოსმალეთისა და ანტანტის შორის, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავებს ახლო აღმოსავლეთის საკითხის საბოლოოდ გადაჭრას.

## ახალი მთავრობა გერმანიაში.

ვირტის მთავრობა გადადგა და გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ებერტმა, ახალი მთავრობის შედგენა მიანდო სახალხო პარტიის ერთ თვალსაჩინო წევრს კუნოს. სახალხო პარტია არის გერმანიის ბურჟუაზიის პარტია.

როგორც ამას წინად ვსწერდით ვირტს სურდა შეექმნა „უპარტიო“ მთავრობა და მართლაც კუნო ადგენს „უპარტიო“ მთავრობას. ახალი მთავრობა კუნოსი თითქმის შედგენილია. მხოლოდ არ არის ჯერ-ჯერობით ვინმე მიწვეული საგარეო და საშინაო სამინისტროს ადგილზე. კუნოს სურდა აღნიშნულ სამინისტროებში მოწვეულ ყოფილიყვნენ შეერთებულ სოც.-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელნი, მაგრამ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ თავის ოფიციალურ გაზეთ „ფორვერტსში“ განაცხადა, რომ ახალი გერმანიის მთავრობა არის „უპარტიო“ და ჩვენი პარტია მას ოპოზიციაში ჩაუდგება.

რას ნიშნავს ამგვარი პოზიცია შეერთებულ გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა?

აქამდე გერმანიის სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიასთან შეერთებული ეწეოდა გამალებულ ბრძოლას რევოლიუციის განვითარების წინააღმდეგ. გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონური გამოსვლები იარაღით ხელში, გერმანიის სოც.-დემოკრატიის დახმარებით, ბურჟუაზიამ სისხლის მორევში ჩაახრჩო. შენელდა რევოლიუციის განვითარების ტემპი და რეაქციამ თანდათან ფეხი მოიკიდა და მომაგრდა. რეაქციონერების დარაზმვაში და გაძლიერებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის სოც.-დემოკრატიას. მას შემდეგ როდესაც შესძლო რეაქციის გამაგრება და მისი აშკარა დახმარება, ბურჟუაზიისათვის საჭირო აღარ იყო მათი დახმარება და შემდეგ სოციალ-დემოკრატიამ. მთელი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება ბურჟუაზიას გადასცა და თვითონ კი მხოლოდ „ოპოზიციაში“ დადგა.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის „ოპოზიცია“, კუნოს მთავრობის მიმართ, არის აშკარა თვალის ახვევა მუშათა კლასისა. მათი ბურჟუაზიასთან კოალიციურ მთავრობაში აშკარა ბურჟუაზიულ მუშაობამ საგრძნობი რევოლიუციონური მუშათა რაზმები ჩამოაშორა მათ. ეხლა, როდესაც ბურჟუაზიას აქვს შესაძლებლობა გაძლიერებული ორგანიზაციებით თავისი საქმეები გააკეთოს, იგი საჭიროებს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ტემპერამენტის საგრძნობლათ შენელებას. რასაკვირველია თვითონ ხმარობს ყოველგვარ უხეშ რეპრესიებს მათ მიმართ, მაგრამ ეს მათთვის სასარგებლო შედეგებს არ იძლევა და ამისათვის სურს ეხლა თვით მუშათა კლასი შიგნიდან ააფეთქოს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოღალატურ მუშაობით. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ფიქრობს, რომ მას მუშათა კლასი აქამდე იმისათვის არ უჯერებდა, რომ ბურჟუაზიასთან კოალიციაში მუშაობდა და სურს ეხლა კუნოს მთავრობას „ოპოზიციაში“ ჩაუდგეს და ამით მუშათა კლასის თვალში დაკარგული პრესტიჟი აღიდგინოს.

გერმანიის მუშათა კლასი ნათლად ხედავს სოციალ-დემოკრატიის კოალიციურ მთავრობაში დაწყებულ მოღალატური მუშაობის, თვით მუშათა მასებში გადმოტანას და დარწმუნებული ვართ, რომ მათ, როგორც მოღალატეებს ზურგს შეაქცევს და სამარცხვინო ბოძზე გააკრავს.

ჭ. ხ.

# წითელი პრესა

არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების აპარატებში აქა იქ შემძვრალან ისეთი პირები, რომელნიც ძირს უთხრიან თვით საბჭოთა ხელისუფლებას. სულ ერთია ბოროტ-განძრახვით იქნება ეს თუ შეუგნებლობით-თავი და თავი ისაა, რომ საქმე ფუჭდება და მუშათა ხელისუფლებას პრესტიჟს-გალენას უკარგავს ფართე მასებში. ამას მოწმობენ მთელი რიგი პროვინციიდან მოსული ცნობები. ცხადია ბევრ ალაგას მართვა გამგეობის საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. ამაზე გაზ. „კომუნისტი“ სწერს:

„აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივ ხელისუფლებების ზოგიერთ წარმომადგენელთ არა აქვთ შეგნებული. საბჭოთა წყობილების დედა-აზრი საბჭოთა რეჟიმის ერთი ძირითადი პრინციპია მშრომელთა ფართე მასსის აქტიური მონაწილეობა ცხოვრების აღმშენებლობაში. ამიტომაც ირჩევს ის საბჭოებს, რომელთა საშუალებით ის უნდა ატარებდეს თავის ნების ყოფას ცხოვრებაში“.

თუ როგორ არევ-დარევას აქვს ადგილი ზოგ ადგილას ამაზე გაზ. „კომუნისტი“ განაგრძობს:

„ხშირად ვხედავთ ისეთ მოვლენებს, როცა ხალხი ფაქტიურად ჩამოშორებულია მართვა-გამგეობის და აღმშენებლობის საქმეებს, არც მის არჩეულ საბჭოს ეკითხება ბევრი რამ, ადგილობრივი ცხოვრების მოსაგვარებლად. არის შემთხვევები, როცა საბჭოს მიერ არჩეული აღმასკომი, კიდევ მეტი, ამ უკანასკნელის თავმჯდომარეა სრული ბატონ-პატრონი ამა თუ იმ ერობის, ის მოვლინებია ადგილობრივ მცხოვრებთ დიქტატორად, რომელიც თავის სურვილის მიხედვით ატრიალებს თემის ბედს. ასეთი აღმასკომი თუ თავმჯდომარე ანგარიშს არ უწევს არც ხალხს, არც საბჭოს, არც პარტიულ კომიტეტს. დასამტკიცებლად ამისა ცნობები მოჰყავს გაზეთს ლანჩხუთის და ასკანის აღმასკომების ცხოვრებიდან.

და რადგან ეგრეა საქმე პროვინციებში ზოგ ადგილას უზენაესმა ხელისუფლებამ მიიღოს შესაფერისი ზომები რკინის ცოცხით უნდა დაიფერთხოს დაშნაშავე და შეუფერებელი ელემენტები მართვა-გამგეობის აპარატიდან.

# დღევანდელი ცნობები

— ლოზანის კონფერენციაზე რ. ს. ფ. ს. რ. დელეგაციაში შედიან: ჩიჩერინი, რაკოვსკი, მდივანი და ვოროვსკი.

— ლოზანის კონფერენციის თავჯდომარედ არჩეულია კერზონი.

— ბერლინში გაიხსნა სრულიად გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესი. კონგრესს ახასიათებს მებრძოლი განწყობილება.

— ბერლინში სახალხო წესები გამოცხადდა ბერლინის პოლიციამ აკრძალა ქუჩებში თავის შეყრა.

— იტალია უკმაყოფილოა ინგლის-საფრანგეთის პოზიციით აღმოსავლეთის საკითხში.

— გაზეთები ფიქრობენ, რომ ამერიკა აღმოუჩენს ფაშისტებს ფინანსიურ დახმარებას.

— ინგლისში გაიხსნა თემთა პალატა.

# გერმანიაში.

## მდგომარეობა ბერლინში.

— ბერლინის პოლიციის უფროსმა აკრძალა ქუჩებში თავის შეყრა.

— „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ სახალხო წესების ფაქტიური გამოცხადება ხდება ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესის გახსნისას.

# დარდანელის საკითხი.

— „დეილი გერალდ“ იუწყება რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს დარდანელის საკითხი განიხილონ კონფერენციის პოლიტიკურ კომისიაში, რითაც დაამტკიცეს რუსეთის მონაწილეობა ტერიტორიალურ და სამხედრო კითხვებში.

# იტალია კონფერენციაზე.

— ლოზანაში კერზონსა და პუანკარესთან საუბრის დროს მუსოლინიმ გადაჭრით დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ იტალია გამოდის ანტანტის მოსამსახურეთ თუ თანასწორ სახელმწიფოდ. თავის სახალხო გამოსვლებშიაც მუსოლინიმ ხაზი გაუსვა უკმაყოფილებას ლოზანის კონფერენციაზე იტალიის მდგომარეობის გამო.

# იტალია და ინგლისი კონფერენციაზე

— ლოზანიდან მიღებულ იტალიის კორესპონდენტების ცნობით ინგლისსა და იტალიას შორის არსებობს აღმოსავლეთის საკითხში მთელი რიგი უთანხმოებათა. გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ მუსოლინის ამერიკელებთან საუბარს ლოზანაში. ფიქრობენ, რომ ამერიკა ფაშისტებს აღმოუჩენს ფინანსიურ დახმარებას.

# სრულიად გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესი.

— ბერლინში გაიხსნა სრულიად გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესი. კონგრესზე მონაწილეობას იღებს დიდძალი რიცხვი დელეგატებისა რესპუბლიკის ყველა მხარეებიდან. კონგრესს ახასიათებს მებრძოლი განწყობილება. უკვე გამოაშკარავდა დელეგატების უკმაყოფილება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროფკავშირთა ლიდერების მიმართ. მთელმა რიგმა ესდეკების დელეგატებმა განაცხადეს სურვილი კომპარტიაში გადასვლისა. დამოუკიდებელთა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი გამოვლიან ლედებურის ჯგუფიდან, თუ ის უარყოფითად მოეკიდება ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობას.

კომინტერნის მისალმებას შეხვდენ მხურვალე ოვაციით.

# საბერძნეთში

ნაზ. „ასოსიატ პრესის“ ათენის კორესპონდენტმა იქონია საუბარი საბერძნეთის ყოფილ მეფე კონსტანტინესთან. კორესპონდენტი ამბობს, რომ კონსტანტინე მეფეს დაქანცულობა და ნერვიულობა ეტყობა და უარი განაცხადა საუბარზე საბერძნეთის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. მაგრამ მაინც მან გააკეთა ევროპის საერთო მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა და ხაზი გაუსვა, რომ მთელი ევროპა ქაოსში ჩაფლულია. „მე ვერ გავიგე სთქვა კონსტანტინემ, ამერიკის პოლიტიკა, რომელსაც არ სურდა ჩემი ცნობა საჭიროებოდა მექსიკის საკითხის გამო. ჩემის აზრით ამერიკას უნდა მიეღო რაიმე სამები სმირნის საკითხში. ამერიკას უნდა თვალყური ედევნებინა მშვიდობიანობის წინასწარობისათვის. ამერიკას შეეძლო ბევრი რამ გამოესწორებინა, მას უნდა გაეგზავნა არმია მცირე აზიაში რომ ამით იძულებული იყო ოსმალები პატივი ეცათ საერთაშორისო უფლებისათვის მე ვიმედოვნებ, რომ საბერძნეთის რევოლიუციონური არმია საბოლოოდ დაამარცხებს ოსმალებს ფრაკიაში.. ოსმალების მიერ ფრაკიის დაპყრობა წარმოადგენს საშიშროებს აღმოსავლეთ[...] თვის. ოსმალეთის პოლ[...] ნია გაიქროს საბერძნე[...] და დავამარცხოთ ისინი [...] ვარჩინოთ საბერძნეთი.

# ინგლისში

— რეიტერის სააგენ[...] ბით ნაციონალისტების [...] როსსმა, თავის განცხადე[...] ტიის სახელით ხაზი გა[...] პარტია ყოველ ღონის [...] ნაალმდეგობას გაუწევს, [...] და ერთი მფრიკელი [...] გაიგზავნოს და ან ერთი [...] ხარ ჯარს ახლო-აღმო[...] ტიურისათვის.

# მუშათა კომისარი უპარტიო მასა[...]

, თანამედროვე ცხოვრებ[...] რეებით კომუნისტური [...] ხელმძღვანელობით, საბჭო[...] უფლების სახით და მათ[...] მიხედვით უმთავრეს [...] მაკეტულ უნდა იქმნეს [...] მასსის გაწვრთნა-განვითარ[...] საგნებით კომუნისტური [...] მისი ანბანური კი მარტ[...] ვისებაზე. ამ შემთხვევაში [...] სი როლი და მოვალეო[...] კომისრისას, რომელიც [...] ამა თუ იმ უპარტიო მასა[...] კომისრის და თვითეულ[...] ვრის პირდაპირ მოვალეო[...] გენ ყოველივე ძალ-ღონ[...] ლი თავისი ენერგია [...] უპარტიო მასაში კომ[...] იდეის ფართო ახსნა-გან[...] მის შეთვისებას და უმთა[...] ბულებების გაცნობას, ყველა უპარტიოს კომ. მიერ აღებულ სწორ გზ[...] აუცილებლობას, კომისარ[...] ვალდებულია შეაგნებინ[...] პატიოსან მშრომელს, რო[...] სრულ უფლებიანი წევრ[...] გლეხურ საბჭოთა მთავ[...] მხოლოთ მას შეუძლიან [...] რესების დაცვა მიუთითო[...] ბულ სწორ ხაზზე და [...] ნაბიჯებზე მშრომელი ხა[...]



# ვლ. ლენინი

I

(ვ. ი. ულიანოვი დაიბ. 1870)

ლენინი საუკეთესო მებრძოლია პროლეტარულ რევოლიუციისა, იგი ნამდვილი მემკვიდრეა კომუნიზმის მამის კარლ მარქსისა, შეიძლება ითქვას რომ ლენინი მკვდრეთით აღმდგარი კ. მარქსია და მკვდრეთით აღსდგა მისთვის, რომ ხორცი შეასხას იმ იდეებს რომელიც დაწერილი იყო 70 წ. წინეთ „კომუნისტურ მანიფესტში და 50 წლ. წინეთ კ. მარქსის „კაპიტალში“

კარლ მარქსის და ლენინის განსხვავება იმაშია, რომ კ. მარქსი თუ მცა იყო რევოლიუციონერი და არა მარტო მოაზროვნე, მაგრამ მაშინდელი მდგომარეობის გამო მარქსმა მეტი გააკეთა სიტყვით ვინემ საქმით რადგან სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასი იყო მცირე რიცხოვანი. ვერ იყო სათანადოთ განვითარებული და მომზადებული მისი მოსისხლე მტრის კაპიტალის დასამარცხებლათ, ჩვენი დროის მდგომარეობა კი სულ სხვაა. შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალი სრულიად მომწიფდა როგორც პურის თავთავი მოსამკალათ და მისი ძლიერი მომმკელი მუშათა კლასიც გაიზარდა რიცხობრივ, დავაჟკაცდა და პროლეტარული კლასიურ ცოდნითაც გამოცდილია.

პირობები მზათ არის. კაპიტალი იხრწნება საჭიროა ახალი ფორმა და შინაარსი ცხოვრებისა, საჭიროა რომ ძველი გახრწნილი, მაგრამ გაბატონებული კლასი კაპიტალისტებისა შეიცვალოს ახალ, აქამდე დაჩაგრულ მუშათა კლასით. **პირველობა მუშათა კლასს ეკუთვნის ვინაიდან ის არის შემქმნელი ყველაფრისა.**

ყველაზე ადრე ამ მდგომარეობას ალღო აუღო ვ. ლენინმა და მას ხვდა წილად რათა გაეძღვებინა ნაკვერჩხალი პირველი პროლეტარული რევოლიუციისა რუსეთში. ეს მან შესძლო 1917 წლამდე. 1917 წელს კი მან კოცონი გააჩაღა რუსეთში პროლეტარულ რევოლიუციისა რომლის ალიც თანდათან ედება მთელ მსოფლიოს.

II

**მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.**

1870 წელს 23 აპრილს ქ. სიმბირსკში სახალხო სკოლების დირექტორის ოჯახს შეეძინა ბავშვი რომელსაც დაარქვეს ვლადიმერი. ახალგაზდამ გიმნაზიაშივე დაიმსახურა დიდი სახელი და მასწავლებლები წინასწარმეტყველებდნენ, რომ იგი გამოვა დიდი მწერალი.

1887 წელს, როდესაც პატარა ვლადიმერი გიმნაზიაში სწავლობდა მეფის მთავრობამ ჩამოახრჩო პეტერბურგში მეფე ალექსანდრე მე-3-ის მკვლელობის განზრახვისათვის ალექსანდრე ილიას-ძე ულიანოვი—ძმა ლენინისა, ამ სასჯელმა დიდი გავლენა მოახდინა ვლადიმერ ილიას-ძეზე, და იგი მთელი სულით და გულით გადაეცა რევოლიუციონურ მოღვაწეობას. შემდეგ, უნივერსიტეტიდან გამოაგდეს სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის და გადასახლებულ იქნა სოფელ კოკუშკინოში (ყაზანის გუბ.) ყაზანიდან გადასახლდა სამარაში და იქ მიყო ხელი მარქსიზმის შესწავლას

1891 წელს მან შესძლო ჩაებარებია გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1893 წლიდან იწყებს რევოლიუციონურ მუშაობას. ერთი წლის შემდეგ გამოდის ლენინის არა ლეგალური ბროშიურა „ნაროდნიკების“ საწინააღმდეგოთ. რამოდენიმე ხნის შემდეგ გაემგზავრა საზღვარ გარედ, სადაც დაუახლოვდა პლეხანოვს, აკსელროდს და ვერა ზასულიჩს. საზღვარ გარეთიდან დაბრუნებისას დააპატიმრეს. ციხეში ყოფნის დროს დასწერა დიდი წიგნი: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში.“

1897 წელს გადაასახლეს ციმბირში. 1900 წელს ბრუნდება ციმბირიდან და ხელმძღვანელობს პარტიულ პრესას. სრულიად აღნიშვნა ყველა იმ მოღვაწეობისა, რომელიც ამხ. ლენინს ახასიათებს, შეუძლებელია მოკლე საგაზეთო წერილში. 1905 წლამდე საზღვარ გარეთ დაჰყო და რევოლიუციის დროს მხოლოთ ცოტა ხნით დაბრუნდა რუსეთში. შემდეგ ისევ საზღვარ გარეთ ცხოვრობდა და მხოლოთ 1917 წ. რევოლიუციის პირველ თვეებში ჩამოვიდა რუსეთში.

თებერვლის რევოლიუციის დასაწყისში მუშათა და გლეხთა მასები კიდევ ეკიდებოდენ ნდობით მენშევიკებს და ესერებს, მაგრამ რევოლიუციის განვითარებამ [...] ისინი, რომ აღნიშნული [...] ნებით თუ უნებლიეთ [...] ბურჟუაზიის საქმეს. რევო[...] დასაწყისში ლენინი და [...] კური პარტია მოუწოდებ[...] ლიუციონურ პროლეტა[...] მშრომელ გლეხობას საბჭ[...] უფლების დამყარებისაკენ. [...] ბრის რევოლიუციის მო[...] ამხ. ლენინმა უდიდესი რ[...] მაში. ჯერ კიდევ გადატ[...] მან შეიმუშავა მთელი პრ[...] გეგმა რევოლიუციონურ [...] რიატის საქმიანობისათვი[...] ბრის რევოლიუციის მო[...] თვის ლენინის პრაქტ[...] რევოლიუციონური განს[...] მართლდა. ოქტომბრის [...] ციის მრავალმხრივი შენარ[...] სეთის პროლეტარიატმა [...] ლით პროლეტარული [...] ციის აუცილებლობის, [...] ერ აღიარება ჯერ კიდევ [...] ომის დასაწყისში ამხ[...] ლობის სახელდებულობ[...] დათ ამხ. ლენინის მეცნიე[...] დნას და რევოლიუციონ[...] იციას ამტკიცებს. ამხ. ლ[...] ლადია არა თუ რუსეთის [...] სტური პარტიის, არამედ [...] უდიდესი ხელმძღვანელი [...] კომუნისტური პარტიის [...] შორისო კომუნისტური [...] ციის!

ჯანმრთელობა და [...] სიცოცხლე მშრომელთა [...] ამხ. ლენინს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილდღეოდ, ყოველ წუთობით უნ-და ჩასჩიჩინებდეს, რომ თვითეულმა მუშამ იცნოს თავისი თავი და შეიგნოს რომ მისი ბედის ჰედა და ძალა უფლება ეკუთვნის მას (მშრომელ ხალხს) და არა სხვა ვინმეს (ბურჟუაზიას და კაპიტალისტებს) ამისათვის აუცილებელია, რათა მეტი მჭიდრო კავშირი და შეგნება შეიტანონ უპარტიო მასსაში, უფრო ხშირათ იქნეს მოწვეული გაერთიანებული კრება პარტიულების და უპარტიოსი და ამით აბამდენ მათ პარტიულ დარგის მუშაობაში, რითაც მოგვეცემა საშვალება მეტათ განვათვითცნობიეროთ და განვახორციელოთ ჩვენი მიზნები უპარტიო მასსაში. საჭიროა აგრეთვე ყოველ გაერთიანებულ კრებაზე ისმებოდეს საერთო მასსის საჭირბოროტო კითხვები და ირჩეოდეს მათთან ერთათ და ეძლეოდეს ახსნა განმარტება შეფარდებას დებულებებისა თანამედროვე ცხოვრების, საჭიროა მეტი დაახლოვება უპარტიო მასსასთან რათა საბოლოოთ ძირში აღმოვფხვრათ ყოველივე გაუგებრობა და ბოროტება. უნდა ახსოვდეს ყველა იაჩეიკებს და მათ წევრებს, რომ ისინი არიან უმთავრესათ გამტარებელნი ყოველივე დებულებების და მიხედვით განკარგულებების საბჭოთა ხელის უფლებისადმი, მოსამზადებლათ ნიადაგის მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციისა და საჭიროა აწმყო და მომავალი ბედნიერებისათვის გაძლიერებული ენერგიით შრომა, როგორც უპარტიო მასსაში ისე მათი საშვალებით და მათთან ერთათ ყოველივე დარგის სფეროში.

ყველა ეს ვალდებულებები, მოვალეობები იაჩეიკას და მათ წევრებს რევოლიუციის წინაშე უნდა გვახსოვდეს ძილშიც, ღვიძილშიც ეს არის ნაწილი იმ მუშაობის რომელიც უნდა გაატაროს კომიაჩეიკამ და თვითეულმა წევრმა უპარტიო მასსაში.

**შალიკო.**

## წითელი არმიელი.

მე მხედარი შრომის შვილი
გადავიცვამ წითელ ხალათს,
ელვის რაშად გადვიქცევი
გულს გავუგლეჯ მტარვალს, ჯალათს.

და ვინც სატრფოს მოგიწოდებ
ბრძოლის ალში გაგხვევ კვალად,
თვით ბრძოლაში გავჰქედ სახნისს
და მჭრელ ნამგალს ვიხმარ ხმალად.

მხედრის ალერსს შემოგაჩვევ
არ გაღირსებ ტრფობის ტკბილ ძილს,
ჩემთან იყავ ბრძოლის ველზე
მეეთვი-ე სიცივს, სიმშილს.

მე მხედარი შრომის შვილი
წითელ რაშით ვივლი მარად,
მუქს მოვტაცებ პირქვე ბადრს მთვარეს
მშრომელ ხალხის გასახარად.

**ვ. ბესოშვილი.**

## დარაჯი

მაღალ მთაზედ, ღრმა ხევში,
სადაც ხარობს ბუჩქნრველი,
იქ ფხიზლად და შეუპოვრად
გუშაგად სდგას არმიელი.
ის გუშაგობს თოფით ხელში
მონატრეს მუშის სისხლით,
და მზად არის დასახვედრად
მტრებისათვის თოფით და ხმლით!
უნდა, რომ მოსტაცოს
არმიელსა ხედვა თვალის,
მაგრამ იგი არ სტყუდება,
რადგანაც, ფხიზლად არის!...
მაშ! ფხიზლად და შეუპოვრად
მცველო გლეხთა და მუშების!
რომ შენ გახდე ჩაგრულთ მოძმე
და მტარვალი-მუშის მტრების!...

**გ. ხევდიშვილი.**

საჩქარო ზომების მიღება ყოველივე თბილების შესაძენათ. იმედი მაქვს რომ ამ წერილის შემდეგ იქნება ყოველივე საჩქაროთ შეძენილი.

**ბადრო**

## კავშირი სამოქალაქო პარტ-ორგანიზაციასთან.

ჩვენს მეორე საარტილერიო დივიზიონის მესამე საგაუბიცო ბატარეიას მჭიდრო კავშირი აქვს მეორე რაიკომის კოლოფების ფაბრიკის კომუჯრედთან. რაიც გამოიხატება შემდეგში: ყველა კრებებზედ ესწრებიან ამორჩეული ამხანაგები, როგორც ჩვენი კომუჯრედიდან აგრეთვე კოლოფების ფაბრიკებიდან ბატარეიას ფაბრიკიდან იგზავნება ყოველ დღიურათ გაზეთები ორ.ხ-ცალი. იმართება საერთო ძალებით წარმოდგენები, ვინაიდან დივიზიონს არა ყავს ქალები და არც საშუალება აქვს ასეთების დაქირავებისა, ფაბრიკის მუშა ქალები წითელ-არმიელებთან ერთათ ღებულობენ მონაწილეობას წარმოდგენის დადგმაში, რომელსაც ესწრებიან მუშები ქარხნიდან, აგრეთვე ყველა წარმოდგენებზედ ფაბრიკაში იგზავნება ჩვენი წითელ არმიელები. მუშები ფაბრიკისა ალგვითქვამენ ყოველგვარ დახმარებას, რითაც ეს შესაძლებელი იქნება და რასაც წითელ-არმიელები აღფრთოვანებით ეგებებიან, და გამოსთქვამენ რომ ისინიც თავისი მხრივ დახმარებას გაუწევენ თავიანთ თანამოძმე მუშებს ფაბრიკისას. განზრახულია მოეწყოს ხშირათ კრებები წითელ-არმიელებისა და ფაბრიკის მუშა კაცებისა და ქალებისა მათ შორის სოლიდარობისა და ნამდვილ მუშური გრძნობების განსამტკიცებლად.

**ალიკო**

## წმენდა დაიწყო.

თბ. მც. მხ. ათასეულში ამ ერთი თვის წინად იყო დანიშნული კომისია ამხ. სიკინჰალაშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც სხვათა შორის აუცილებლად სცნო რეგ-…

პუბლიკის რაზმების … რებით თბ. ათასეულ… ნლობის გენერალუ… დიან კომისია ღირს… ენერგიულ მუშაობის… დარწმუნებული ვარ, … ლიც შეაფასებს მათ … მათ ოქმს ჯერ კანონ… ლობა არ მისცემია, მ… ნდა ადგილობრივად მ… თუმცა უფრ მადგენლ… ბიუროტ მოქმედებებ… ნასკნელმა თავი არ და… ჯერობით ათასეულს … ი ამე პარაზიტი" ბ-ნი … და კიბალიჩენკო, მოს… შურ-გლ ხურმა ხელ ს… ვი დროზე იცის ერთ… ს დაცოცხვა. საჭირ… ს მიქცევა, რათა დ… ლმიჩენილი … ებანი და მართლ მ… კიდეს დანიშნავე.

**დუ…**

## მე 2-რე ლეგკოუნის …დან.

ძილი თუ მოვალ…

ჩვენ მე 2-რე ტყ. მე… დან ამას წინათ იქნენ ყარაულები … სადაც დანიშნეს ამხ. ს. სიხარ… განმავლინებელათ ამხ. აღსანიშნავია რომ ორი… ლებული ამხანაგები სას… რბიან უძილობას, ამის … ბლად ვხედავთ შემდე… ზემოაღნიშნულ დღეს, ლ… საათზედ გამოცვალეს გუ… თონ კი შებრძანდნენ სა… და მისცეს თავი ტკბილ… გუშაგოზედ მყოფი გუშ… ცადნენ მათ გაღვიძებას, რაულოს სახურავზე ქვ… მაგრამ ყოველი ცდა ამ… მდგომარეობაში დარჩენ… შაგები გათენებამდის რა… დაუშვებელია, და მიეწ… აღნიშნული ამხანაგების … აბუჩ თ აგდებას და და… მოუწოდებთ ჩვენს ამხან… სიფხიზლისაკენ.




## სევე დაისჯება ყველა ყალბი ინფორმაცია და მოშორდეს მავნე სამკურნი

ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელში" №131 ში მოთავსებულ წერილის გამო „ვინ არის მართალი", რომელიც შეეხებოდა საინჟენერო ათასეულის სამკურნალოს ამხ. ბარამიძეს, წერილის ავტორს ამხ. ტაბიძეს პოლიტგანის უფროსის განკარგულებით სამი კვირით აეკრძალა გაზეთში წერილების მოთავსება, ვინაიდან აღნიშნულ წერილში მოთავსებული ცნობები აგებული ყოფილა ჭორებზე. და აგრეთვე მიეცა გაფრთხილება ამხ. ტაბიძეს, რომ განმეორებულ შემთხვევაში იქნება მიცემული პასუხის გებაში.

## სამხედრო სასპორტო სკოლა
**საჭიროა ფრიად საჩქარო ზომების მიღება.**

არა ერთხელ და ორჯერ მიუთითეთ ჩვენს სკოლის ადმინისტრაციას და უფროსმადგენლობას რომ მიეღოთ საჭირო ზომები „ფარაჯების" და საზამთრო ტანსაცმელის შეძენისათვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი ნიშანი არა სჩანს. კურსანტთა რიცხვიდან არა ნაკლები ათი პროცენტისა ყოველდღიურათ ავათ ხდებიან და თუ სულ მოკლე ხანში არ იქმნა შეძენილი საზამთრო ტანსაცმელი დარწმუნებული ვყავით რომ მთელი კურსანტნი ავად გახდებიან გაცივებისაგან და მრავალს კიდევაც იმსხვერპლებს ულმობელი სიცივე. დღემდის ჯანსაღი ჩვენი სკოლა გარდ იქცევა საავადმყოფოთ.

ასეთ არა სასურველ მოვლენას ადგილი რომ არ ქონდეს ჩვენს სკოლაში ამისათვის საჭიროა ფრიად

## ნადირობა.

16 ნოემბერს სამხედრო-სასპორტო სკოლის კურსანტნი. რიცხვით 70 კაცი და მონადირეთა მსროლელი სკოლა, რიცხვით 40 კაცამდე გაემგზავრა საბარგო სახალხო მატარებლით, განსაკუთრებულ ვაგონებით სად. ძეგამში. მათ შეუერთდენ სტუმრათ მოწვეულნი და სულ გავხდით 130 კაცი. მონადირეთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა წინდაწინვე შემუშავებული პროგრამით; მონადირეთა ჯგუფს მეთაურობდა ამხ. გაბაშვილი.

ნადირობაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სტუმრათ მოწვეულნი:

1. ამიერ-კავკასიის საბჭოთა წითელ ლაშქრის მთავარ სარდალი ამხ. ეგოროვი.

2. ს. ს. ს. რ. საყოველთაო სამხედრო სწავლების უფროსი ამხ. გ. გიორგაძე.

3. ს. ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი ამხ. კვირკველია.

4. საქართველოს მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე და მრავალი სხვები.

17. ნოემბერს დილის 6 საათზე მივედით სად. ძეგამში, სადაც ჩვენი ვაგონები მოხსნეს და გადააყენეს თავისუფალ ლიანდაგზედ. 6 საათზედ შევიკრიბენით ყველანი და წავედით კურდღლებზედ სადილი ნადირობის მოსახდენათ, იქვე ახლო მახლო ადგილებში. ვინადირეთ ნაშუადღევის 2 საათამდის, მოვკალით 27 კურდღელი და 17 სხვა და სხვა ფრინველი, რომლითაც კმაყოფილნი დავბრუნდით სადგურზე სადილისათვის. ვისადილეთ, დავისვენეთ ნახევარი საათი და ხელმეორეთ მოვემზადეთ სანადიროთ. 3 საათზე წაველით მეორე სადილის ნადირობისათვის. კიდევ ვინადირეთ რამოდენიმე კურდღელი და ფრინველი რის შემდეგაც საღამოს 5 საათზე დავბრუნდით სადგურზედ ღამის გასათევათ.

ნადირობით დაღალულნი და თანაც კმაყოფილნი ვბაასობდით რამოდენიმე ხანს; ზოგიერთნი დოლითა და სიმღერებით ატარებდა დროს, მეორენი ცეკვით და ისმოდა ათასგვარი სიმღერები;

საღამოს 8 საათზე 15 კურსანტი შეიარაღებული და ორი ფურგონი სურსათ-სანოვაგით და მონადირეთა ნივთებით დატვირთული, გაემგზავრენ სად. ძეგამიდან 18 ვერსის მანძილზედ სოფ. ბაირამლში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ მონადირეთათვის სადგომი ბინის ამოსარჩევათ და „პალატკების" გასაკეთებლათ, რაიც ყოველივე შესრულებული იქნა.

18 ნოემბერს დილის 6 საათზე ყველა მონადირენი კურსანტებითურთ გაემგზავრნენ სოფ. ბაირამლში მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ — გზაზედ მოვდიოდით ნადირობით. მოვკალით რამოდენიმე კურდღელი და ფრინველი. ნაშუადღევის პირველ საათზე მოვედით დანიშნულ ადგილს, სადაც სადილი მზად დაგვხვდა და შევუდექით სადილობას. ღვინო ბლომათ გვქონდა, გაიმართა სადღეგრძელოები, სიმღერები, ცეკვა. ისროდინ „რაკეტებს" აგრეთვე რევოლვერ ბიდან ტყვიებს მთელი მაყრუებული ტყე-მინდვრები. უეცრივ გამხიარულდა, საღამოს 11 საათზე სადილი დამთავრდა, ნაწილი მონადირეთა „პალატკებში" დაწვა, ზოგნი კი შემოუსხდნენ ჯგუფ-ჯგუფად დიდ ცეცხლს. დაიწყეს ათასგვარი სიმღერები ყველანი სიხარულით ელოდენ მეორე დღეს. 19 ნოემბერს დილის 4 საათზე ყველანი ფეხზედ იდგნენ შეიარაღებულნი. დავლიეთ ჩაი, მივიღეთ საგზალი და წავედით ლორებზე სანადიროთ მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ. დილა ძლიერ ცუდი დაგვიდგა, დაიწყო წვიმა და ქარი, მტკვარზე გადასვლა ნავით საშიში იყო. დაგვაგვიანდა დანიშნულ დროზე ორი ნახევარი საათი. რამოდენიმე ხანს შემდეგ გადიღო წვიმა და ქარიც ცოტა ხანს ჩადგა — შემდეგ დავიწყეთ მტკვარზე გადასვლა მარჯვენა ნაპირიდან მარცხნივ. იქიდან კიდევ გასავლელი გვქონდა 9 ვერსი სანადირო ადგილამდის. ყველა ამ დაბრკოლებათა გამო ნადირობას არ მოყვა დამაკმაყოფილებელი შედეგი. მოვკალით რამოდენიმე ლორი და საღამოს 3 საათზე დავბრუნდით უკანვე სოფ. ბაირამლში, სადაც ვისადილეთ და გამოვემგზავრეთ. სად. ძეგამში, ქალ. თბილისში წამოსასვლელათ. სადგ. ძეგამში მივედით ღამის 1 საათზედ ჩავსხედით ჩვენს ვაგონებში და ღამის ოთხ საათზედ გამოვემგზავრეთ თბილისში.

ნაწილი მონადირეთა და კურსანტთა დარჩა სოფ. ბაირამლში, რომ კიდევ 20 ნოემბერს მიეხდინათ ნადირობა ლორებზედ. ჯერ-ჯერობით არ დაბრუნებულან და არც ნადირობის შედეგი ვიცით.

ასე რომ ჩვენი დიდი ნადირობა დამთავრდა სრული ჩვენი გამარჯვებით, დავხოცეთ მრავალი ნადირი და ფრინველი — და იმედი გვაქვს კიდევ ახლო მომავალში გავმართავთ უფრო დიდ ნადირობას, რასაც ჩვენის აზრით უფრო კარგი შედეგი ექნება. მთავარ სარდალმა ამხ. ეგოროვმა დიდი მადლობა გვიძღვნა კურსანტებს და დაგვასაჩუქრა ინგლისური მაზარებით,

რაზედაც ამხ. ეგოროვს უძღვნით დიდ მადლობას ყურადღებისათვის და საჩუქრისათვის.

იმედი გვაქვს რომ სამხედრო სასპორტო სკოლა ყოველთვის პირველობას დაიჭერს და თავის სახელს, სკოლის სახელოვან დროშასთან ერთად მაღლა ასწევს,

**„ბაცრო"**

### მადლობის ღირ…

მე-2-რე ქართულ შეერ… არტილერიო დივიზიონის… რეა ახლად გადმოსულია… ჯერ-ჯერობით მოთავსება… ხევრად დანგრეულ ყაზარ… ნები სრულიად ჩამტვრეუ… [illegible] ჩაშავებული ასე, რ… ყობა იქ თუ კაცის ნა… ან, ასეთ მდგომარეობაში… ტარისთვის შე მა არ დ… [illegible] ო და გამოგვი ზავ… 000 მან. რითაც შეძლებ… უ ზ მის კაპიტალური … ახლა უკვე ყველა ფერი … ქვს. თვითეულ წითელ ა… თვის მოწყობილია ცალკ… ტ ტები წ თ. არმიელ… კმაყოფილი არიან ახლა … ას უძღვნიან თავიანთ შ… თავკამოდებულ მზრუნვე… ვის.

**ვ.**

### შორს მჩხუბრებო მალესაკან-შესაიდ… და.

ამხანაგებო, რკინის ც… გააგდოთ თქვენი რიგებიდ… მოჩხუბრებლე და გაძკერა… თაც სურთ ამღვრეულ წყა… ზების ჭერა. რასაკვირველ… ჯარშიც მოიძებნება აქა-…

ისანი ჩვენი შვენებით და დისციპლინით უნდა დაიმახურონ. წითელი ლაშქარი ჩვენი, არ ს ნორჩი მაგრამ მას აქვს დიდი მნიშვნელობა, ის უკვე ჩამოყალიბებული მებრძოლი ჯარია. არა ნაკლები მტრები ყავს ჩვენში სამხედრო სწავლებას. რატომ? ი, იმიტომ, რომ საყოველთაო სამხედრო სწავლება იძლევა შეუდრეკელს და მტკიცე მებრძოლებს კომუნიზმისათვის და მის საბოლოო გამარჯვებისათვის. მუშურ-გლეხური ჯარი ერთ სულოვანებით ჩამოყალიბებული, ლითონით ჩამოსხმული ჯარია, რომელიც მჭიდროთ გაერთიანებულია ურიცხვი მკლავით და ირ შტით გაემართება მჩაგვრელების, მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაშ გაუმარჯოს ჩვენს მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარს!

ტენისან ლეგ. წ. არმ. ა. მეტრეველი.

## ქრთამის აღების მცდელი.

თბილისის მცველ მხლებელთა ათასეულში გვყოლია თურმე ისეთი ფერშალი, რომელსაც ძალიან ყვარებია ქრთამის აღება. ეს ფერშალი ყვარად კიბალიჩენკო ძველადაც ყოფილა დაჩვეული ქრთამებს, მაგრამ ახლა რად ვერ მიხვდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ასეთი საქციელი ადამიანის არ დაიმალებოდა. ალბად არ იცოდა თუ როგორ უმასპინძლდება საბჭოთა ხელისუფლება მექრთამეებს. კიბალიჩენკო ალბათ არც კი ფიქრობდა, რომ ვინმე მას გაუგებდა ასეთ საქციელს მას ქრთამი აუღია წითელ არმიელ ქიტიაშვილისაგან 700,000 მან. ქრთამი მთლად ვერ მოიხმარა ბატონ კიბალიჩენკომ ისე ადრე მოუსწრეს.

შორისპირელი

## საინჟინერო ათასეულში

გაზეთ წ.-არმიელის № 121 ში იყო მოთავსებული წერილი ამხ. მეგრელიშვილის, რომელიც სწერდა, რომ დივიზიის კავშირის უფროსმა ბ-ნმა მიქელაძემ უკანონოთ დააპატიმრა წ.-არ. ორაგველიძე და სატელეგრაფო ასეული მ ითხოვს პასუხისგებაში იქნეს მიცემული ბ-ნი მიქელაძეო. ამის შესახებ მე მინდა განვუმარტო ამხ. მეგრელიშვილს, რომ ის სცდება ძალიან როდესაც სწერს „ბ-ნმა მიქელაძემ უკანონოთ დააპატიმრა წ. არ. ორაგველიძეო“. ჩვენს წითელს ჯარში დღეს არავითარი ბატონები არა გვყავს, ბატონებმა ოფიცრებმა დიდი ხანი გასცურეს შავ ზღვით, ბატონებთან. წ.-არ. ორაგველიძის დაპატიმრების შესახებ ვიტყვი, რომ წ.-არ, რომელსაც ჯიბით დაჰქონდა ერთი ცვირა პატაკი, და რომელმაც აქამდის ვერ შეისწავლა წესი პატაკის მიცემისა, ღირსი იყო დასჯისა, და ასეთი დასჯა არ იყო უკანონო, არამედ საჭირო იყო დისციპლინის აღსადგენათ.

სატელეგრაფო ასეულს არავითარი დადგენილება ამხ. მიქელაძის პასუხის გებაში მიცემის შესახებ არ გამოუტანია.

ყალბი ცნობების გამოცხადებისათვის პრესაში პასუხი უნდა აგოს ამხ. მეგრელიშვილმა. მაგრამ... ასეთი წ.-არ. მეგრელიშვილი მთელს საინჟინერო ათასეულში, რომ არ არის პასუხი ვინ უნდა აგოს? დიახ აი აქ საჭიროა საქმის გამოძიება თუ ვინ სწერს წერილებს გაზეთში სხვის ხელმოწერით, რათა ის პასუხისგებაში მიცემული.

ცისარტყელა

## მოხსენება მომენტზე და წარმოდგენა.

18 ნოემბერს მეორე დივიზიონის კლუბში გამართულ იქმნა წარმოდგენა. დადგმული იქმნა პიესა „ბოიკოტი.“ წარმოდგენას დაესწრო დივიზიონის შეფი სახ. სას. კომისარი ამხ. ერქომაიშვილი, რომელმაც წარმოდგენის დაწყებამდის გააკეთა ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. მოხსენებამ გამოიწვია წ. არმიელებში უსაზღვარო სიხარული და აღფრთოვანება. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია — „ფიცსა ვსდებთ ვიბრძოლოდ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საბჭოთა ხელისუფლების დასაცველათო“.

მოხსენების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ჩვენ შეძლებისადა გვარად საღამოს მივეცით ფართე ხასიათი დაპატიჟებული გვყავდა მუშები. წარმოდგენა იყო უფასო და საერთოდ შეეძლო თავისუფლად შემოსვლა ყველას. სტუმრები მართლაც საკმაოდ დაგვესწრო. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ უფშემაღგენლობა ჩვენს წარმოდგენებს ალმაცერად უყურებს და არ ესწრება რაც უნდა ჩაითვალოს სამწუხაროდ.

პოლიტხელი ქუტუბიძე.

## ყაზარმების შეკეთება.

მე-2 რე ლეგიონის ნაწილები ამჟამათ მოთავსებულია ერთ-ერთ ყაზარმებში.

აღნიშნული ყაზარმები მეტათ დანგრეული და დაზიანებული აღმოჩნდა ლეგიონის გადმოსვლისას.

აღდგენა დანგრეულ შენობებისა თხოულობს კაპიტალურ შეკეთებას, რაც თანამედროვე პირობებში ძალიან ძნელი შესასრულებლია.

მიუხედავათ ამისა ნაწილი ამ მძიმე საქმის შესრულებას შეუდგა ათი დღეა რაც მუშაობა სწარმოებს და უკვე ბევრი რამ გაკეთდა, რაც საშვალებას გვაძლევს ვიფიქროთ ახლო მომავალ კვირეებში ლეგიონი შესძლებს ისე შეაკეთოს ყაზარმები რომ შესაძლებელი გახდეს მათში წითელ არმიელების ცხოვრება და მუშაობის წარმოება.

ეს მაჩვენებელია, რომ წ. არმიელებს როგორც სამხედრო ისე ეკონომიურ-სამეურნეო ფრონტზე შეუძლიათ გააკეთონ ის რასაც მას დაავალებს მუშათა და გლეხთა, ხელის უფლება.

სამხკორი ლეგიონის. შარბენიძე.

## მეტი ყურადღება წითელ არ. ოჯახებს.

სოფლად ადგილობრივი მთავრობა ვერ აქცევს შესაფერის ყურადღებას წითელ არმიელთა ოჯახებს, ვერ გაუგიათ მათ ვინ ასრულებს თავის მოვალეობას პირნათლათ და ვინ დეზერტირობს. ვინ არის მტერი მუშურ გლეხური რევოლიუციის და ვინ დგას მის სადარაჯოზე. ხშირათ შემთხვევაა როცა დეზერტირის მამასთან ერთად წითელ არმიელის მამასაც აპატიმრებენ ეუბნებიან „შენი შვილი დეზერტირიაო“ ყოველ დღე აუარებელი წერილები მოსდის ჩვენს არმიელებს ასეთ უსამართლობის შესახებ, რომელიც იწვევს მათში უკმაყოფილებას და წუხილს.

საჭიროა ასეთ გაუგებრობას ბოლო მოეღოს.

საჭიროა მეტი ყურადღებით მოეპყრან წ. არმიელთა ოჯახებს.

გ. ცომაია.

## პატარა ფელეტონი

### პარტწმენდა

(№ ლეგიონში.)

საღამოა. გარედ სწვიმს. კლუბის სცენაზე ზის პარტწმენდის კომისია. აქა — იქ ჩურჩული, ხუმრობა... ზოგიერთ პარტიულს, რომელთაც ცუდი წიშანი უზით: ფერი მისდით, გულს სევდა აწვება. კვალიფიციური მუშები ამაყად, გულდამშვიდებით აძლევენ პასუხს, იმათ იციან თავიანთ მოვალეობა... მარა სოფლიდან გამოგზავნილნი კოქლობენ.. არავინ იცის ვის ჰოხვდება შეუბრალებელი ხელი პარტწმენდისა.

თავმჯდომარე. ვახახიძე!

ვახ. ზდეს, ბატონო.

თავ. როდის შეხველი პარტიაში?

ვახ. არ მახსოვს, ვგონებ...

თავ. როგორ!? (გაკვირვება) თქვენი სოციალური მდგომარეობა?

ვახ. დიაღ, სოციოლოგიურ ფაკულტეტზე ვიყავი...

თავ. როგორი სტუდენტი ხარ? მერე და არა გრცხვენიანთ რომ პასუხი სწორედ ვერ მოგიციათ. სტაჟი?

ვახ. სტრაქნიკად არა ვყოფილვარ. (სიცილი),

თავ. გაწმენდა გაიარეთ?

ვახ. კი, ხოლერობის დროს დენიკინელეპიდან, რომ დავბრუნდი მოსკოვიდან-გამოვიარე იქ, გემიდან რომ ჩამოვედი ფოთში, ერთი კვირა კარანტინაზე დაგვაყენეს მენშენიკებმა.

თავმჯდომარემ ხელი ჩაიქნია, ვახახიძე მოსდის. თავ-რე შეკითხვისაკენ მოუწოდებს. ზოგი რას ეკითხება და ზოგი რას... თავ-რე გარედ მოუწოდებს ვახახძეს—გადის.

თავ. აბა ვინ რა იცით? უარყოფითი.

ას—ვი დუშეთში რომ ვიყავით მაგან ღვინო დალია, ფლავსა სჭამდა ხოლმე მექუქნავეთ იყო.

აგ—ცი. ეგ სანაინში გვეჩხუბებოდა სომხებსა 1918 წ., მაუზერიც წამართვა, ქართველების ჯარში იყო.

ბა—ლი. ეგი ხევსურში ზარსა და კარტსა თამაშობდა ფულზე.

ჟა—ვი. ეგი ბატონო, ტავარიშ პრესედატელ ფინთი ბიჭია, გუშინ პაპიროზი არ მომაწეინა, ქალს მისდევდა სენი წირი—მე, ჰო, მართალია.

II

თავ. ჯღარკია!

ჯღა. აქ, ვარ პატენი.

თავ. როდის შეხვედი პარტიაში? სტაჟი.

ჯღა. სტარში?—არსა ვყოფილვარ პატენი. პარტიაში—კი შევედი.. შევედი.. ისე კარგა არ დამახსოვდა ვგონებ წვიმიანი დღე იყო ბანძას, სანაკის ვეზდში.

ვ. ჯ. ვინ მიგიღო პარტიაში?

ჯღა. არ მახსოვს.,. ამბობდენ სიჰინავა იყოვო...

თავ. ნეტ გოლუბჩიკ, ტებე კრიშკა!

ჯღა. კნიჟკა? დემეკარგა გზაში, ყანას რო ვშობოდი სოხუმს.

თავ. ნუ ჩურჩულებთ მანდა.

ჯღა. მანდათი არ მიმიღია.

ვ—ჯ. სამოქალაქო ომში მიგიღია მონაწილეობა?

ჯღა. კი... მარა მცხვენიან აპა რავა გითხრათ, იმ წინაზე, ვლაბარჩი მიკიტანს თავი გავუტეხე...

თავ. მეხანიკურად ჰაიდა!

III

თავ. აგიანც!

აგი. ესტედემ, აქ ვარ.

თავ. როდის შეხვედი პარტიაში?

აგი,ია პოგრუზინსკი მალო პანიმაიმ.

თავ. ნო, გავარიტე ნა კაკომ პანიმაიტე.

აგი. მე... კომსიმოლ ტავარიშჩ.

თავ. კომსომოლ? კომსომოლისტი ზავტრა.

ჟ—ვი. (პარტერიდან) ეგა ტავარიშჩ პრესედატელ, დასნაკცაკანი იყო, ფურნეში კონტროლნი კომისიისი როცა იყავი, მაგან ცომი პური მოგცა, იმიტომ დანა აიღე და...

თავ. ხვალ, ხვალ.

IV

თავ. პეტრენკო!

პეტ. ზდე'.

თავ. როდის შეხველი პარტიაში?

პეტ 21 გოდა..

თავ. ნა სტარუიუ პოლცეისკუიუ სლუჟბუ ნე სოსტოიალ?

ს—ანი (პარტერიდან) ონ ბილ გოროდოვიმ 1913 გოდაში, მერე პერეველი ოკოლოდნოჩიკი ნადზირატელიად. ია ზნაიუ.

თავ. მეხანიჩესკიმ პუტიომ?

პეტ. და, სლუჟილ ვ მეხანიჩესკომ ზავოდე სტოროჟემ.

გაისმა ყიჟინა. პეტრენკომ თავი დაღუნა, აწითლდა.

V

თავ. ბაშვილი!

ბაშ. აქ ვარ ბატონო.

თავ. როდის შეხვედი პარტიაში.

ბაშ. აი მაშინ რაღა, დვაცატპერვი გოდაში ჩვენი მამასახლისი რო დაიჭირეს, ჰალაში.

ვ. ჯ. შენ შეხვედი პარტიაში თუ სხვამ შეგიყვანა?

ბაშ. ხი, ხი! დამცინი ბატონო თუ რაა? აბა ამოდენა ექვსფუთიან კაცსა ვინ მომერეოდა მე თითონ შევედი ჩემი ფეხითა.

თავ. ხომ არ გიდეზერტირია?

ბაშ. არა შენი ჭირი—მე.

ლ—ძე. (პარტერიდან) როგორ არა, რომ სამთვეს არ სჩანდა.

ბაშ. ჰო, ისე კი არ მიდეზერტირია და სამიოდე თვე დამიგვიანდა, წვრილცოლშვილის სანახავად ვიყავი; ავათაც ვიყავი თირკმელები მტკიოდა.

თავ. პარტიაში გინდა დარჩე?

ან—ძე. (პარტერიდან) გუშინ მაგან მითხრა რომ აღარ მინდაო!

ბაშ. ჰო, შენი ჭირიმე ჩემ რაიონში თუ ვიქნები ჯობიან მგონი, ცოლშვილთან ვიქნები და... ჰა, რას მეტყვით?

თავ. თავისუფალი ხარ...

ბაშ. რა ვიცი, პარტიაში მეგონა რომ აღარ მამუშავებდენ და თავის ხელით ჩამაცმევდენ. მაჭმევდენ...

წმენდა გრძელდება.

დეზებიანი მამალი.




## თბ. მც. მხ. ათასეულში

(იარაღის გამგის ჩივილი.)

საწყალი ერთხელ ჩიოდა,
არ მომივიდა ძილიო
მივადექ ღვინის ბოჩკას
გამოვუთხარე ძირიო.
ქიქას, ყანწსა და ბოთლებსა
ყველას მოვავლე ხელიო,
უკუ ვიხედე მომდევდა
წითელი არმიელიო.
ისინი იყვნენ მშიერნი
მე სხვა გვარ შემოვძახეო;
მინდოდა ღვინით მექრთამა,
და ვერ დაუგე მახეო*).

გასტონი.

*) ო, გასტონ თუ კი იცოდი
ხდებოდა ყველა ესენი,
რატომ ადრევე არ გვითხარ
მოგვესპო დაშნით ეგ სენი!?

დაშნა.

## ჩვენი ფოსტა

**ი. გაფრინდაშვილს.** თქვენი ლექსი: „მსხნელი“ სუსტია არ დაიბეჭდება.

**მარსს** თქვენი ლექსი „სამხედრო სკოლაში“ არ დაიბეჭდება ლექსის წერას უნდა შესწავლა, სკოლის გავლა.

**ალ. მთიულს.** თქვენი ლექსი: „შრომის შვილო დაჰკა, დაჰკა„ არ დაიბეჭდება სუსტია. „ინგრევა ძველი ქვეყანა“ დაიბეჭდება შესწორებით, იმ დღეებში.

**გ. ლევდიშვილს.** ი ქვენი ლექსი: „გამარჯვებული“ ვერაა როგორც ლექსი გამარჯვებული. საჭიროა გამარჯვებისათვის მზადება და სწავლა რომელსაც გირჩევთ: არ დაიბეჭდება. „მოწოდება“ დაიბეჭდება შესწორებით, იმ დღეებში.


## წითელ-არმიელთა საყურადღებოთ

ცენტრალურ წითელ-არმიელთა კლუბთან მოეწყო და შეუდგა მუშაობას შემდეგი წრეები:

1. პოლიტიკური.
2. ლიტერატურული
3. დრამატიული
4. სამხატვრო
5. მუსიკალური.

ჩაწერა ამ წრეებში შეიძლება ყოველ დღე კლუბის გამგესთან საღ. 6 საათ დან 9 საათამდე.

კლ. გამგე ვ. ხუციშვილი.

2—7


ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან.

პასუხისმგებელი რედაქტორი პ. ქუთათელაძე.